

ბრძანების პროექტი

თბილისი

№ 675/03

11 ნოემბერი 2013წ.

რექტორის 2013 წლის 30 სექტემბრის №516/03 ბრძანების ნაწილის ძალადაკარგულად
გამოცხადების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 24 სექტემბრის №736 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 05 ნოემბრის №867 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

I. „თსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 30 სექტემბრის №516/03 ბრძანების I პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი, **ფატუმატა ტოური-გამბიის რესპუბლიკა**” ცნობილი იქნეს ძალადაკარგულად.

II. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

III. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო

პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

IV. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.